სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა სალექციო-სააუდიტორიო სამუშაოს გარდა მოიცავს: დამოუკიდებელი მუშაობის დროს; შუალედური და ფინალური გამოცდების მომზადება–ჩაბარებას; კვლევით ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; სხვადასხვა სახის სასწავლო საქმიანობას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალი სემესტრული სასწავლო პროცესის განმავლობაში ატარებს ყოველკვირეულ კონსულტაციებს წინასწარ გაწერილი განრიგის მიხედვით, რომელიც სემესტრის დასაწყისშივე გამოიკვრება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის, კათედრის) საინფორმაციო დაფაზე თვალსაჩინო ადგილას. სტუდენტს შეუძლია ამ განრიგის მიხედვით მიიღოს ინდივიდუალური კონსულტაცია როგორც აკადემიურ, ისე პროგრამის ორგანიზაციულ მხარესთან დაკავშირებით.

ყოველკვირეული საკონსულტაციო საათების გამოყენების აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების უმრავლესობა სამუშაო ფორმატში ითვალისწინებს რეფერატს, ესსეს, პრეზენტაციას. ამგვარი ფორმატი სტუდენტთან ურთიერთთანამშრომლობის განსაკუთრებულ რეჟიმს ითხოვს, რაშიც ინდივიდუალურ კონსულტაციებს ძალიან დიდი როლი აკისრია. სამაგისტრო პროგრამათა კურიკულუმით გათვალისწინებულია აგრეთვე სავალდებულო სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მომზადება ასევე სტუდენტთან მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის დიდწილად ინდივიდუალური მუშაობის რეჟიმს თხოულობს.

ზოგადად, სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის რეჟიმი ხელს უწყობს სტუდენტსა და პროფესორს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებას, სწავლების ხარისხის ამაღლებას, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას.
სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა განსაკუთრებით ეფექტურია კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში - სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციებისთვის თემის მომზადება-დამუშავების პროცესში, სტუდენტთა მიერ პუბლიკაციების მომზადებისას, სხვადასხვა ტიპის სტუდენტური წრეების მუშაობაში და სხვ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში მონაწილე უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეულ ლექტორებსა და მკვლევრებს აქვთ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის ფართო საერთაშორისო გამოცდილება. ისინი დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, თვალსაჩინო მკვლევრები, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის, სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორები არიან. ნუ გაუშვებ შანსს ხელიდან, მიიღე მათგან მაღალკვალიფიციური კონსულტაცია ნებისმიერ პროგრამულ საკითხზე!